მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წლიური ანგარიში
2014

შინაარსი

ზოგადი ცნობები
პროგრამული პრიორიტეტები
საპროექტო საქმიანობა

დანართი:

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2014 წელს განხორციელებული პროექტები

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი, აგრეთვე, ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

ინსტიტუტს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი წევრი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას ახვევს თავს "ჩამორჩენილ" თანამოძმეებს, არამედ პროცესი, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკურ პროცესებზე.
კავკასიური ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი: ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ვთავაზობთ საზოგადოებას მათ ანალიზს, შეფასებას და გადაწყვეტის ვარიანტებს, ვაფართოვებთ იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- მარატ ბარათაშვილი
- ოლესია ვართანიანი
- გიგა ზედანია (გამგეობის თავმჯდომარე)
- ზაზა თევზეძე
- ეკა კვესიტაძე
- გია ნოდია
- ჩარლზ ჰ. ფერბენქსი

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, ინსტიტუტის თანამშრომლების შემოწირულობებიდან, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალიდან.
2014 წელს ინსტიტუტის აქტივებმა 394 997 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი შეადგინა.

პროგრამული პრიორიტეტები

2014 წელს კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: *საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია.*

ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა: საიმიგრაციო პოლიტიკის კანონმდებლაბა; ტრეფეკინგის საწინააღმდებო ღონისძიებები; მიგრანტთა უფლებების დაცვა; დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა; სამოქალაქო განათლების და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის ღონისძიებები; პოტენციური კონფლიქტის პრევენცია; ინერკულტურული დიალოგი და სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლების დაახლოება; პოლიტიკური კვლევები და სხვა.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2014 წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობას შემდეგი დონორები უჭერდნენ მხარს:

ევროკომისია (EC)
საქართველოს პრეზიდენტის ფონდი (GPF)
ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტო (Brot)
ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის (EPD)
საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი - რუმინეთი (IPP)
შავი ზღვის თანამეგობრობის მხარდაჭერის ფონდი (Black Sea Trust)
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS)

საპროექტო საქმიანობა

მიგრაცია და მიგრანტთა უფლებები

2013 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება "**ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის**" პროექტი, რომელსაც კავკასიური ინსტიტუტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად ახორციელებს. პროექტის გუნდი ოთხ მთავარ ამოცანაზეა ფოკუსურებული: სამიგრაციო კანონმდებლობის დახვეწაზე; სამიგრაციო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე; არალეგალური მიგრაციის და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე და მიგრანტთა უფლებების დაცვაზე. საპროექტო საქმიანობა თბილისს და კიდევ ქვეყნის ათ რეგიონს მოიცავს: გურიას, იმერეთს, ქვემო ქართლს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამეგრელო-ზემო სვანეთს, სამცხე-ჯავახეთს, შიდა ქართლს და აჭარას.

2013 წლის 13 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის სტრატეგია, რომელშიც აღწერილია მიგრაციული პროცესების სახელმწიფო მართვის პოლიტიკა და პრიორიტეტები, ასევე ამ პროცესში სხვადასხვა უწყების როლი. მიგრაციის სამთავრობო კომისიას პროექტის გუნდმა სამიგრაციო კანონმდებლობის და

პოლიტიკის, ექსპერტული ანალიზი და რეკომენდაციები მიაწოდა. მომზადდა სხვა სარეკომენდაციო დოკუმენტებიც:

- საქართველოს და ევროკავშირს შორის ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარების შესაძლებლობა
- მუშაობის ნებართვა და შრომის ინსპექცია გერმანიაში, ნიდერლანდებსა და პოლონეთში
- დიასპორა და სახელმწიფო: ირლანდიის, იტალიის და სლოვენიის გამოცდილება; შეთანხმებები ლეგალურად დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე - არსებული პრაქტიკა და პერსპექტივა საქართველოში

სარეკომენდაციო დოკუმენტი 2014 წლის 6 ივნისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით გამართულ პრეზენტაციაზე იყო განხილული.

პროექტმა შესაძლებლობა მისცა ემიგრაციაში წასულ ჩვენი მოქალაქეებს სამშობლოში დარჩენილი თანამემამულეებისთვის გაეზიარებინათ საზღვარგარეთ შეძენილი გამოცდილება. საამისოდ, თავდაპირველად, პროექტის გუნდმა კვლევების საფუძველზე დაადგინა საჭიროებები და განსაზღვრა სფეროები, რომლებშიც უფრო უპრიანი იქნებოდა გამოცდილების გაზიარება ამა თუ იმ რეგიონის მცხოვრებლებისთვის. ამავე დროს, დამყარდა კონტაქტები ქართული დიასპორის სათანადო წარმომადგენლებთან. აპრილ-მაისში მოეწყო შეკრებები პარიზსა და ჰააგაში, სადაც ქართული დიასპორის წევრებს პროექტის გუნდმა პროგრამის მიზნები გააცნო. ქართველმა პროფესიონალებმა, ევროკავშირის ქვეყნებიდან, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ჩაატარეს აქაურ კოლეგებთან. მოეწყო შეკრებები:

- "სასათბურე მეურნეობების და მეცხოველეობის განვითარება: ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარება" - 1-2 ივლისი, 2014; მერაბ ფუტკარაძე - ჰოლანდია;
- " არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა: მშენებლობის წარმოება და ორგანიზაცია " - 28-29 ივლისი, 2014; ლალი და გელა ხომერიკები - ჰოლანდია;
- "ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხობრივი გაუმჯობესება" - 19-20 აგვისტო, 2014; მანანა სამუშია, ვახტანგ მებადური - გერმანია

გაიმართა სემინარები ბათუმში, ზუგდიდში, ამბროლაურში, რუსთავში, თბილისსა და დუშეთში, სადაც ყურადღება ისეთ საკითხებზე გამახვილდა, როგორებიცაა: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ქალაქმშენებლობა, მშენებლობის ორგანიზაცია.

ათ რეგიონში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები, სადაც განხილულ იქნა: არალეგალური მიგრაციის და ტრეფეკინგის რისკები, ტრეფეკინგის პრევენცია, ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობები, ცირკულარული მიგრაციის სქემები.

2014 წლის დეკემბერში დაიწყო კამპანია სახელწოდებით: "ლეგალური მიგრანტის დღიურიდან", რომლის მიზანი ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობაა. ბათუმში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ახალციხესა და თელავში შედგა შეხვედრები სტუდენტებთან; შეიქმნა სტუდენტთა ანალიტიკური ჯგუფები, რომლებიც მიგრაციის

და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე მუშაობენ. მომზადაა რამდენიმე სოციალური ვიდეო რგოლი.

ახალდაბრუნებული მიგრანტების და უცხოელი იმიგრანტებისთვის მოქმედებს იურიდიული დახმარების და კონსულტაციების სამსახური. საიმიგრაციო კანონმდებლობაში ახლახან მომხდარი ცვლილებების მერე, ასეთი სამსახურის საქმიანობა განსაკუთრებით საჭირბოროტოა; არაერთი უცხოელი იქნა ინფორმირებული ახალი რეგულაციების შესახებ. იუსტიციის სამინისტროსთან ერთად (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო) მომზადდა 3 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, რომელიც იმ შეღავათბზე აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს, რაც ახალ საიმიგრაციო კანონთან დაკავშირებით დაწესდა.

2013-2014 წლებში გამოიცა

დიასპორა და სახელმწიფო.
ირლანდიის, იტალიიის და სლოვენიის
გამოცდილება 2014

მუშაობის ნებართვა და შრომის ინსპექცია.
ნიდერლანდები გერმანია და პოლონეთი 2014

უსაფრთხოების ხელშეკრულება ლეგალურად
დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის
თაობაზე საქართველოსთვის

2014

საქართველო და მიგრაცია - ევროკავშირში
ცირკულარული მიგრაციის შეაძლებლობები

2013

საქართველო და მიგრაცია - პოლიტიკის ანალიზი
2013

საქართველო და მიგრაცია - კანონმდებლობის ანალიზი

2013

არალეგალური მიგრაცია

2013

როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებზე

2013

ნუ გახდებით ტრეფეკინგის მსხვერპლი

2013

პროექტის ძირითადი ღონისძიებების ნუსხა 2014:

დასახელება ქართულ დიასპორასთან შეხვედრა პარიზში
თრიღი 13 და 14 აპრილი 2014
ადგილი წმინდა ნინოს ეკლესია და საქართველოს საეჩო

დასახელება ქართული დიასპორის წევრებთან შეხვედრა ჰააგაში
თრიღი 17 მაისი 2014
ადგილი საქართველოს საელჩო

დასახელება დისკუსია სამუშოს ნეგართვა და შრომითი ინსპექცია გერმანიას, ნიდერლანდებსა და პოლონეთში
თრიღი 30 ივნისი 2014
ადგილი თბილის მარიოტი

დასახელება ტრეინინგი: სასათბურე მეურნეობა და მესაქონლეობა: ჰოლანდიური გამოცდილება
თრიღი 1-2 ივლისი 2014
ადგილი კაჭრეთი, სასტუმრო ამბასადორი

დასახელება დისკუსია: სასათბურე მეურნეობა და მესაქონლეობა: ჰოლანდიური გამოცდილება
თრიღი 2 ივლისი 2014
ადგილი ზუგდიდი, სამეგრელო

დასახელება	სამუშაო შეხვედრა: სასათბურე მეურნეობა და მესაქონლეობა: ჰოლანდიური გამოცდილება
თრიღი	4 ივლისის 2014
ადგილი	ამბროლაური, რაჭა

დასახელება	ტრენინგი: არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა
თრიღი	28-29 ივლისი 2014
ადგილი	კაჭრეთი სასტუმრო ამბასადორი

დასახელება	ტრენინგი: ხუროთმოძღვრება და საქალაქო მშენებლობა:
თრიღი	30 ივლისი 2014
ადგილი	რუსთავი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი

დასახელება	ტრენინგი: ტურისტული პროდუქტის და მომსახურების ხარისხობრივი გაუმჯობესება
თარიღი	19-20 აგვისტო, 2014
ადგილი	კაჭრეთი. ყვარელი

დასახელება	სამუშაო შეხვედრა ტურისტული პროდუქტის და მომსახურების ხარისხობრივი გაუმჯობესება
თრიღი	31 აგვისტო 2014
ადგილი	დუშეთი საიას რეგიონალური ოფისი

დასახელება	დისკუსია: დიასპორა და ხელისუფლება
თრიღი	16 ოქტომბერი 2014
ადგილი	თბილისი შერატონ მეტეხი პალასი

დასახელება	სამუშაო შეხვედრა: არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა: ჰოლანდიური გამოცდილება
თრიღი	2 დეკემბერი 2014
ადგილი	ბათუმი

დასახელება	კამპანია "ლეგალური მიგრანტის დღიურიდან" - შეხვედრების სერია სტუდენტებისათვის
თრიღი	2-17 დეკემბერი 2014
ადგილი	ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე

ადგილობრივი ინიციატივები

2014 წლის მაისიდან "კავკასიურმა ინსტიტუტმა" დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტოს - პური მსოფლიოს (Brot für die Welt/Bread for the World) მიერ დაფინანსებული პროექტის - **"ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის"** განხორციელება დაიწყო. საქმიანობა საქართველოს ოთხ რეგიონს - შიდა და ქვემო ქართლს, აჭარას, სამცხე-ჯავახეთს - 69 სოფელს და მუნიციპალურ ცენტრს მოიცავს. რეგიონების მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა, შეიძინოს სათემო მობილიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და მიღებული გამოცდილება სიღარიბის დაძლევას და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოახმაროს.

წინასწარ შერჩეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, 23 რეგიონულ ჯგუფს, სათემო მობილიზაციის და პრობლემების იდენტიფიცირების უნარ-ჩვევების ტრენინგები ჩაუტარდა. ჯგუფის წევრებმა მერე 69 თემში ჩაატარეს პირველი შეხვედრები, რის შედეგადაც უკვე როგორც სოციალური, ისე სამეურნეო შინაარსის არაერთი პრობლემაა იდენტიფიცირებული. ამჟამად ჯგუფის წევრებს გამოვლენილი

პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების ტრენინგები უტარდებათ. კავკასიური ინსტიტუტი მუდმივ კონსულტაციებს უწევს და შეხვედრებს უმართავს ადგილობრივი თემების წევრებს. თემის წევრები თვითონ გეგმავენ და ახორციელებენ სასათანადო პროექტებს. წარმატებულ შემთხვევებზე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გადაღება იგეგმება. მიღწეული შედეგები მოსახლეობის სხვადასხვა ფენას წარედგინება და გაეცნობა. სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, მომზადდება პოლიტიკურ-სარეკომენდაციო დოკუმენტიც (policy paper).

ხელისუფლების და საზოგადოების დიალოგი, თანამონაწილეობა

მოქალაქეებსა და პარლამენტის დეპუტატებს შორის მუდმივი დიალოგის მექანიზმების ამოქმედების და საპარლამეტო საქმიანობაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის მიზნით კავკასიური ინსტიტუტი ფონდის - "ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის" (EPD) სპონსორობით მორიგ პროექტს ახორციელებს - "**სამოქალაქო განათლება და თანამონაწილეობა 2014-2015".** საპროექტო მიზნების მისაღწევ ძირითად ინსტუმენტად აქ ვებგვერდი www.shenmartavge გამოიყენება, სადაც მონაცემთა ბაზაა განთავსებული, შემდეგი სახის ინფორმაციით:

საკანონმდებლო პროცესში თანამონაწილეობის წესები და მოქალაქეთა უფლებები;

სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებული ადვოკატირების პროცესი;

სამოქალაქო აქტივისტების მიერ ინიცირებული კანონპროექტები.

აქვეა მონაცემები - ხმის მიცემის პროცედურებზე, კანონმდებელთა ბიოგრაფიული და ქონებრივი ნუსხები, ცნობები მათ პარტიულ კუთვნილებაზე, კენჭრისყრისას მათ პოზიციებზე, საპარლამენტო ქცევებზე...

ვებგვერდზე შექმნილია კითხვა-პასუხის განყოფილება, ანუ ცალკეულ მოქალქეს და პარლამენტის წევრს შორის დიალოგის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ამომრჩეველს შეუძლია უშუალოდ გააცნოს საკუთარი წუხილები და შეხედულებები მის საპარლამენტო წარმომადგენელს.

ვებგვერდი ზრდის კანონმდებლების საქმიანობის გამჭირვალობას და ამაღლებს პარლამენტარების ანგარიშვალდებულების დონესა, აღრმავებს კონტაქტს ყველა სახელისუფლო განშტოებას და ამომრჩეველს შორის.

ვებგვერდი 2013 წელს არის ამოქმედებული და და მუდმივად ივსება ახალი მონაცემით. მისი პროტოტიპები ბრიტანული www.theyworkforyou.com და www.votewatch.eu -ა.

ფეისბუქის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია "shenmartav" ფეისბუქ გვერდიც.

ამ ინსტრუმენტების გამოყენებით საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგის საქმე უფრო მყარ ნიადაგზე დგება, რამდენამდე ქარწყლდება საზოგადოებრივი ინდიფერენტულობა და ძლიერდება პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობა.

პარლამენტების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის კლების შემაშფოთებელი ტენდენცია სამი ორგანიზაციის: რუმინეთის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის, მოლდოვური დემოკრატიის ინსტიტუტის და კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევის მიზეზი გახდა. "შავი ზღვის ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობის მხარდაჭერის ფონდის" მიერ დაფინანსებული პროექტის "პარლამენტის წევრების ქცევის წესები - წინ გადადგმული ნაბიჯი რუმინეთის, მოლდოვას და საქართველოს პარლამენტების მიმართ ნდობის და ლეგიტიმურობის ასამაღლებლად" ძირითადი დანიშნულება სამივე ქვეყნის პარლამენტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის სტიმულირება და პარლამენტის წევრების ქცევის ჯეროვანი წესების დამკვიდრების ხელშეწყობა გახლდათ.

პარლამენტართა ეთიკის წესების გარშემო დებატებს ჯერ პარლამენტის წევრთა უმართებულო ქცევების იდენტიფიცირების სამუშაო და დებატებისთვის ღია სივრცის მომზადება უსწრებდა, რაც სამი ზემოხსენებული ორგანიზაციის ექსპერტების და პარლამენტთან მუშაობის იმ მდიდარი გამოცდილების საფუძველზე განხორციელდა, რომელიც ამ ორგანიზაციებს დაუგროვდა.

სამიზნე ჯგუფებს სამი ქვეყნის ეროვნული პარლამენტების წევრების გარდა, გამჭირვალობით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით და ადამიანის უფლებების დაცვით დაკავებული ორგანიზაციებიც წარმოადგენდნენ; მათი რიცხვი თითო ქვეყნისთვის 15-20-ის ფარგლებში მერყეობდა. უშუალო სარგებელი პარლამენტის წევრების გარდა (588 ადამიანმა რუმინეთში, 101-მა - მოლდოვაში და 150-მა - საქართველოში) სამოქალაქო ორგანიზაციებმაც მიიღეს, მათმა რიცხვმა ჯამურად 55 შეადგენა.

მედია მონიტორინგის, ექსპერტული გამოკითხვების და სხვა მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებით სათანადოდ დახარისხდა და აღიწერა პარლამენტის წევრების არაჯეროვანი ქცევის ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა: სხვის მაგივრად ხმის მიცემა, სესიების გაცდენა, სამუშაო შეხვედერებში მონაწილეობის არ მიღება, საჯარო რესურსის პირადი ანდა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, ინტერესთა კონფლიქტი, საპარლამენტო კომიტეტებში ნათესავების დაქირავება, პარლამენტარის მანდატის ბოროტად გამოყეება და სხვა. პარლამენტარებისთვის შეუფერებელი ქცევის ასეთი კალსიფიცირების მერე, გააზრებულ იქნა მისი აღმოფხვრის ღონისძიებები, მოეწყო დებატები პარალმენტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. როგორ ნაციონალურ, ისე ადგილობრივ მედიაში ჩატარდა კამპანია პარალმენტური ქცევის პრობლემების გასაშუქებლად. საქართევლოს რუმინეთის და მოლდოვას პარლამენტარების მონაწილეობით გაიმართა სამი დისკუსია. მედიის, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების და ექსპერტების ჩათვლით მონაწილეთა რიცხვი თითოეულის შემთხვევაში 40-ს აღწევდა.

დებატების საფუძველზე ორი დოკუმენტი შეიქმნა:

1. საპარლამენტო ეთიკის კვლევის ანგარიში, სადაც განხილულია პარლამენტარების არაჯეროვანი ქცევები და დასაბუთებულია ქცევის წესების შემდგომი სრულყოფის საჭიროება
2. პოლიტიკურ-სარეკომენდაციო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს სამივე ქვეყნისთვის ცალ-ცალკე.

   დოკუმენტები სამოქალაქო ინსტიტუტებს, რესურს ცენტრებს და ადგილობრივ მედია ორგანიზაციებს დაურიგდათ.

კონფლიქტების მონიტორინგი და პრევენცია

კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა ეუთოს მიერ დაფინანსებული კვლევისა და ანალიზის პროგრამას - "**სიტუაციის მონიტორინგი სამცხე-ჯავახეთში",** რომელსაც ის აგერ უკვე 14 წელია ახორციელებს. პროექტის ბენეფიციარებს: საქართველოს ხელისუფლებას (საგარეო საქმეთა სამინისტროს) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE) ყოველთვიურად მიეწოდება რეგიონული კორესპოდენტების და მედიის მონაცემთა გადამუშავების გზით მიღებული ანალიტიკური მასალა. წარმოდგენილი ანგარიში მათ სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვაში ეხმარება.

მედიის განვითარება

საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მიერ 2012 წლის დეკემბერში დაფინანსებულ პროექტს - **"სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის ხელშეწყობა"** - კავკასიური ინსტიტუტი 2013-2014 წლების განმავლობაში ახორციელებდა.

პროექტის ფარგლებში კავკასიურმა ინსტიტუტმა მოაწყო კონკურსი და გამარჯვებულ ორგანიზაციებზე სულ 527 725 ლარი გასცა; კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. თვითოეულ ეტაპზე წარმოდგენილ განაცხადებს (სულ 192 განაცხადი) ექსპერტთა ხუთკაციანი, დამოუკიდებელი კომისია იხილავდა. მეტი ობიექტურობისთვის მეორე კონკურსის კომისიის შემადგენლობა მთლიანად გადახალისდა და, რა თქმა უნდა, ისევ დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა.

პირველი კონკურსის კომისიის წევრები იყვნენ:
დავით აფრასიძე - იალიას უნივერსიტეტის პროფესორი;
მაია ნიკოლაიშვილი - „ევროპის სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი;
ზვიად დევდარიანი - „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებელი დირექტორი;
ზაურ ხალილოვი - „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ხორბალაძე - „მედიის განვითარების ფონდის“ არმასრულებელი დირექტორი.

მეორე კონკურის კომისიაში კი შედიოდნენ:
ანდრო გიგაური - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული პროექტების მენეჯერი;
ლელა ხომერიკი - ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებათა ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან ღამბაშიძე - Borani.org – ის დირექტორი და წინა კონკურსში გამარჯვებული პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი;
მერაბ ბასიალაია - „ალპეს“ PR და მედია პროგრამების დირექტორი;
ნინო ბოლქვაძე - სახალხო დამცველის აპარატი, პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ კორდინატორი.

დაფინანსდა 18 პრექტი.

საპროექტო განაცხადები, წინასწარი მოთხოვნის თანახმად, შემდეგი თემატური მიმართულებებიდან აირჩა:

- მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების მონიტორინგი და ანალიზი; მიღებული ინფორმაციის ფართო გავრცელება და განხილვა
- მოქალაქეთა ჩართვა დისკუსიებში დემოკრატიის განვითარების კონკრეტული გზების განსახილველად
- მედიაში ინტერნეტული პლატფორმების განვითარება და მათი გამოყენება ზემოაღნიშნული მიზნებისთვის
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა და მათი სამოქალაქო პროცესებში ჩართვა

დაფინანსებული ორგანიზაციების და პროექტების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. "ქვემო ქართლის პრესა (KKPRESS)"- (რუსთავი). პროექტი - **„ადგილობრივი მედია ქვემო ქართლის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური გაშუქებისთვის“** მიზანი: kkpress.ge -ს მხარდაჭერით ხელი შეეწყოს რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას, რათა მომზადებული მასალების შედეგად საზოგადოებას გასჩენოდა ჯანსაღი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის არაქართული ეროვნების მოქალაქეების მიმართ.

2. „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“. პროექტი - **„სამოქალაქო საზოგადოების ფოკუს-ჯგუფების ჩართულობა კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში“.** მიზანი: კონსტიტუციური კანონმდებლობის დემოკრატიული შინაარსის გაცნობიერება მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებისა და გაერთიანებების დისკუსიებში ჩართვით და აქტიური მონაწილეობით.

3. „ჩვენი თვისუფლება“. პროექტი - **„ჩვენი თვისუფლება“.** მიზანი: დოკუმენტური ფილმის შექმნა, რომელიც თავისუფლების ცნებას აბსტრაქტულიდან კონკრეტულში გადაიტანდა და სხვადასხვა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მის დაფიქსირებას შეეცდებოდა. საერთაშორისო კამპანიაში - „OUR INDEPENDENCE DAY” მოქალაქეების ჩაბმა.

4. „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი“. პროექტი - **„დებატები ცვლილებისთვის“.** მიზანი: სტუდენტების ჩართულობის ამაღლება დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესსა და ზოგადად, ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში, აქტუალურ თემაზე დებატების მოწყობის გზით.

5. საზოგადოება - „ბილიკი“ (გორი). პროექტი - **„თანადგომა“.** მიზანი: გორის მუნიციპალიტეტის (საოკუპაციო, გამყოფი ხაზის სოფლების) მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გააქტიურება, საზოგადოებაში ინტეგრაციის და სამოქალაქო ინიციატივების გამოჩენის მიზნით.

6. „სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოები ჯანმრთელობისთვის“. პროექტი - **„მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება“.** მიზანი: სამოქალაქო მონიტორინგის გზით, საქართველოში სამედიცინო სფეროს განვითარების ხელის შეწყობა. მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა.

7."საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი". პროქტი - **„კონფლიქტთან დაკავშირებული პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივები**

კონფლიქტთან საჯარო დისკუსიების/განხილვების სერია“. მიზანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არსებული და დაგეგმილი სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე აღნიშნული მიმართულებით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით წარმოქმნილი ვალდებულებების და გაჩენილი შესაძლებლობების დაინტერესებული ჯგუფებისათვის გაცნობა.

8. „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. პროექტი - **„აგორა“.** მიზანი: სტუდენტების ჩართულობის გაზრდა მათი ინტერესის სფეროში მყოფი სხვადასხვა საკითხის შესახებ გამართულ დისკუსიებში.

9. კავშირი „იმედი“ (ოზურგეთი, სოფ. თხინვალი). პროექტი - **„თვითმმართველობა - ეს ჩვენ ვართ“.** მიზანი: ცოდნით, უნარ-ჩვევებით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბება, რომელიც გახდებოდა შემაკავშირებელი რგოლი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

10. „საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი“. პროექტი - **„2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი“.** მიზანსი: სამოქალაქო თვითშეგნების განვითარების საფუძველზე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ზრდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში და მათთვის სადისკუსიო პლატფორმის შექმნა, რათა გათვალისწინებულ იქნას მათი ინტერესი საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში; დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და ქვეყნის დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა.

11. „სამოქალაქო ჟურნალისტიკის კლუბი". პროექტი - **„მე, რეპორტიორი რეგიონში“.** მიზანი: რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ფართო აუდიტორიისთვის რეგიონში წარმოქმნილი შექმნილი სხვადასხვა პრობლემა.

12. „გრუზია ონლაინ“. პროწქტი - **„საქართველო რუსულენოვანი მკითხველისათვის“** . მიზანი: საქართღველოს შესახებ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და მაღალი ჟურნალისტური სტანდარტით მომზადებული, გადამოწმებული ინფორმაციების მიწოდება რუსულენოვანი მკითხველისათვის - როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

13. NOVA SOCIETAS. პროექტი - **„ანტილიბერალური დისკურსი და სიძულვილის ენა თანამედროვე ქართულ მედიაში“.** მიზანი: საზოგადოებრივი დისკურსის წამოწყება მასმედიით გავრცელებულ სიძულვილის ენაზე, მედიასაშუალებების წინასწარი მონიტორინგის საფუძველზე.

14. „არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურს-ცენტრი“. პროექტი - **„სამოქალაქო ჟურნალისტიკა@ GeorgianWatchdog სამოქალაქო ჟურნალისტი - სამოქალაქო კონტროლი - სამოქალაქო საზოგადოება“.** მიზანი: სოციალური ქსელების - Facebook, Twitter-ის და ვებ-საიტის საშუალებით ერთიანი მედია ინტერნეტ პლატფორმის შექმნა - რაც საშუალებას მისცემს სამოქალაქო ჟურნალისტებს დროულად, ოპერატიულად და მიუკერძოებლად განათავსონ მცირე მულტიმედიური რეპორტაჟები მომხდარის შესახებ, რომლის თვითმხილველებიც თვითონ იქნებიან.

15. „საგამოძიებო რეპორტინგის ასოციაცია“. პროექტი - **„საგამოძიებო რეპორტინგის ასოციაცია“.** მიზანი: დამწყები ჟურნალისტების, ასევე იმ პროფესიონალი ჟურნალისტების, ვისი პროფესიული შემართება არ შეესაბამებოდა მათ მატერიალურ და პროფესიულ შესაძლებლობებს, გადამზადება, რათა მათ

შეძლონ მაღალი ხარისხის ჟურნალისტური საგამოძიებო რეპორტების მომზადება და საზოგადოებისთვის საკუთარი პროდუქტის გაცნობა.

16. ,,ARTAREA TV2.0”. პროექტი - **„ანალიტიკური ინტერნეტ-გადაცემა თემა“.** მიზანი: საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემებისა და თემების ინოვაციური, საინტერესო გზით ანალიზი. საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის, დაინტერესებას, მათი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

17. ასოციაცია „ლიბერტა“. პროექტი - **„ოროკო“.** მიზანი: რეპატრირებული და სტატუსის არმქონე მესხებით დასახლებულ რეგიონებში მესხი მოზარდებისა და საჯარო სკოლის თანატოლების თანამშრომლობის ხელშეწყობა. მესხი მოზარდების საერთო ინტერესის გარშემო გაერთიანება და საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება, მესხი მოზარდების მიერ გამოვლენილი პრობლემების საჯარო სკოლების თანატოლებისთვის გაზიარება, განსხვავებული რელიგიისა და ადათ-წესების მატარებელი მოზარდების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ოროკო“ დაარსება, რომელიც იზრუნებს მესხების პრობლემების მოგვარებაზე და მათ ადვოკატირებაზე სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე.

18. „ივერია.ბიზ“ . პროექტი - **„ინტერნეტ-პორტალი ივერია.ბიზ (WWW.IVERIA.BIZ).** მიზანი: საქართველოს ინტერნეტ-სივრცეში ახალი ინტერნეტ-პორტალის შექმნა, რომელიც მოემსახურება უახლესი, ობიექტური და მრავალპროფილიანი ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდებას მოსახლეობისათვის.

გამოცხადებული საგრანტო კონკურსი ძირითადად ახლადშექმნილი ორგანიზაციების განვითარების ხელის შეწყობას ისახავდა მიზნად. პროექტის შესრულების ხარისხის კრიტერიუმები საშუალო სიმკაცრის იყო და შემდეგნაირად განისაზღვრა:

- საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში
- მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების განხილვაში და პროგრესის გზების დასახვაში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში
- ინტერნეტ-მედიის ხარისხის ამაღლება და გამრავალფეროვნება.
- ეთნოუმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო მონაწილეობის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება

პროექტების მიმდინარეობისას მონიტორინგი ხორციელდებოდა უწყვეტად და ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, როგორებიც არის: ბენეფიციარების ღონისძიებებზე დასწრება; პროექტების შტაფის წევრებთან - წამყვან თანამშრომლებთან, გასაუბრება, მიმოწერა; კონსულტაციები როგორც კავკასიური ინსტიტუტის ოფისში მოწვევით, ისე სატელეფონო საუბრების ფორმით...

ბენეფიციარებმა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას.

რელიგიური შემწყნარებლობა

2014 წლის ოქტომბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება "**ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ლექციების ციკლი**" თბილისი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის - რომლის მიზნად ზემოხსენებულ უნივერსიტეტში არადისკრიმინაციული და ტოლერანტული გარემოს შექმნას ისახავს. ტარდება ინტერაქციული ხასიათის სემინარები, სადაც სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები კულტურის და რელიგიის საზოგადოებრივ როლზე იფართოებენ თავიანთ წარმოდგენას, ეცნობიან სხვადასხვა რელიგიის ძირითად პოსტულატებს და მსოფლხედვას.

2014 წლებში ინსტიტუტი აგრძელებდა წინა წლებში დაწყებულ პროგრამას "**მსოფლიო რელიგიების კლუბი**" რომელიც "კონრად ადენაუერის ფონდთან" (KAS) ერთობლივად ხორციელდება. იმართება დისკუსიები და ლექციები რელიგიური მრავალფეროვნების და რელიგიური შემწყნარებლობის თემაზე. ლექციების მსმენელები კონკურსის წესით შერჩეული სტუდენტებია. პროგრამის მიზანი სხვადასხვა რელიგიის საჭორბოროტო და საკვანძო საკითხებში სტუდენტთა უკეთ გათვითცნობიერებაა. საამისოდ მათ კვალიფიციური ექსპერტებთან უწევთ მუშაობა: თოლოგებითან, რელიგიის სოციოლოგებთან, აღმოსავლეთმცოდნეებთან, სხვებთან... მსმენელებმა გაიფართოვეს და გაიღრმავეს ცოდნა, რომელიც მათ მსოფლიო რელიგიების ისტორიულ განვითარებაზე და სხვადასხვა კულტურების თავისებურებებზე გააჩნდათ; ერთმანეთს გაეცნენ სხვადასხვა რელიგიური თემების წარმოამდგენლები (ქრისტიანები, იუდეველები, მუსლიმები, ინდუისტები...), რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ ერთმანეთსითვის თავ-თავიანთი რელიგიური გამოცდილება გაეზიარებინათ. საკულტო დაწესებულებებში მოეწყო "რელიგიური ტურები" იქაური თემების უკეთ გასაცნობად.

სალექციო კურსის მსმენელებისათვის გაიცა სათანადო სერთიფიკატები.

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

2014 წელს ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტები განახორციელა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისთა ასოციაცია
2. რუმინეთის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი
3. მოლდოვას დემოკრატიის ინსტიტუტი
4. გორის საინფორმაციო ცენტრი
5. ბოლნისის ენის სახლი
6. ბიზნეს ცენტრი კახეთი, თელავი
7. დემოკრატ მესხთა კავშირი
8. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2014 წელს განხორციელებული პროექტები

1. პროექტის დასახელება: სამოქალაქო განათლება და ჩართულობა
2014-2015
დონორი - ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის (EPD)
ხანგრძლივობა - 01.01.2014-31.12.2015.
მოცულობა - € - 30 00
პროექტის კოორდინატორი - თაკო პატარაია

2.პროექტის დასახელება: ვებგვერდი - www. Shenmartav.ge
დონორი - ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის (EPD)
ხანგრძლივობა - 01.03. 2014 - 31.12.2014
მოცულობა - € 12 000
პროექტის კოორდინატორი - თაკო პატარაია

3. პროექტის დასახელება: პარლამენტის წევრების ქცევის წესები - წინ გადადგმული ნაბიჯი რუმინეთის, მოლდოვას და საქართველოს პარლამენტების მიმართ ნდობის და ლეგიტიმურობის ასამაღლებლად
დონორი - საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი - რუმინეთი(IIP)
მოცულობა - $ 21 500
ხანგრძლივობა - 01. 05. 2014 - 31. 11. 2014
კოორდინატორი: თაკო პატარაია

4. პროექტის დასახელება: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ლექციები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის
დონორი - ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
ხანგრძლივობა - 29. 10. 2014-29. 1. 2015
მოცულობა - $ 3170
პროექტის კოორდინატორი - ელენე ნოდია

5. პროექტის დასახელება - მსოფლიო რელიგიების კლუბის მეოთხე რაუნდი
დონორი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS)
ხანგრძლივობა - 2. 2014 - 7. 2014
მოცულობა - € - 6000
კოორდინატორი - ელენე ნოდია

6. პროექტის დასახელება - კვლევა და ანალიზი - საქართველო
დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი (OSCE)
ხანგრძლივობა - 01. 01. 2014- 31.03. 2014
მოცულობა - € 10600
კოორდინატორი - მარინა ელბაქიძე

7. პროექტის დასახელება - კვლევა და ანალიზი - საქართველო

დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი (OSCE)
ხანგრძლივობა - 1. 6. 2014- 31.12. 2014
მოცულობა - € 22 500
კოორდინატორი - მარინა ელბაქიძე

8. პროექტის დასახელება - კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის
დონორი - ევროკომისია (EU)
ხანგრძლივობა - 21.01.2013 – 21.06.2015
მოცულობა - € 644 170. კავკასიური ინსტიტუტის წილი - €219 610
კოორდინატორი - თიკო ტყეშელაშვილი

9. პროექტის დასახელება - ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის
დონორი - დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტო - პური მსოფლიოს (Brot)
ხანგრძლივობა - 01.05.2014 - 31.01.2017.
მოცულობა - € 350 000
კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

10. პროექტის დასახელება - საქართევლოს სამოქალაქო საზოგადოების და მედიის განვითარების ხელშეწყობა
დონორი - საქართველოს პრეზიდენტის ფონდი
ხანგრძლივობა - 01.01.2013 -30.05.2014.
მოცულობა - 800 000 ლარი
კოორდინატორი: დანი თაბუკაშვილი